მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 11 **1883—1897** 15 ივნისი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	3 მან.	12 თვით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Микеми“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

სარწმუნოების და ზნეობრივი შინაარსის წიგნები არა გვაქვსო!

როდესაც კითხვა ჩამოვარდება ჩვენს მოძღვართა შორის იმაზედ, რომ ჩვენში სიტყვა-ქადაგება მეტის მეტად დაქვეითებული და დადუმებულია, მაშინ თავის გასამართლებლად ზოგიერთი მოძღვრები და, სამწუხაროდ, ნასწავლნიცა, ამას მოგიგებენ: «რა ვქნათ, რომ ჩვენ სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნები არა გვაქვსო»!.. ეს პასუხი სრულებით მოკლებულია სიმართლეს და წარმოითქმის ხოლმე თავის გასამართლებლად. მაგრამ ეველანი დარწმუნებული უნდა იყვენ, რომ ამ სიტყვებით ვერავინ თავს ვერ გაიმართლებს. ჩვენში მრავალი გამოცემანი არიან სარწმუნოებისა და ზნეობრივი შინაარსისა და იაფადაც ისყიდება, მაგრამ ჩვენი სამღვდელოების უმეტესმა ნაწილმა არც კი იცის მათი არსებობა და

არ იცის მიტომ, რომ არასოდეს არ მიუქცევია ეურადღება ამისთანა წიგნების განცხადებათათვის. ზოგიერთ სამრევლოთათვის ისიც საკმარისია, რაც «მწყემსის»-ს რედაქციის გამოცემანი არსებობენ, და სხვების კიდევ სხვა არის. აიღეთ ამასთან შვენიერი გამოცემა-საუბრები თბილისის სიონის ტაძართან არსებული მმობისა და სხვათა მრავალთა. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც კიდევ გაიმახიან: რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები არა გვაქვსო! ამ სიტყვების თქმა არ მიეტევება უსწავლელ მოძღვართაც, რაიცა შეეხება ნასწავლ მოძღვრებს, იმათ სომ არავითარი უფლება არა აქვთ ზნეობრივი და რელიგიური შინაარსის წიგნების უმექონებლობას უჩივოდენ. განა ამისთანა საჩივრის განცხადება შეუძლია ეხლანდელ დროში იმას, ვისაც რუსული ენა ესმის, როდესაც ამდენი რუსული ჟურნალ-გაზეთები გამოდის სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შვენიერი შინაარსის სტატიებით და სიტყვა-მოძღვრებით? ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები, მაგალ. „Пастырскій собесѣдникъ“, «Паломникъ», «Кормчій», «Душеполезное чтеніе», „Руководство для сель. пастырей“ და სხვანი; საგანგებოთ გამოცემენ ხოლმე მთელ დამზადებულ წიგნებს მოძღვრება-ქადაგებათა მღვდელთათვის. თუ რუსეთის სასულიერო ჟურნალისტიკა და სამღვდელოება კი სარგებლობენ სამზღვარ-გარეთი სასულიერო ჟურნალ-გაზეთებით, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ვისარგებლოთ რუსული სასულიერო ჟურნალ-გაზეთებით?.. რასაკვირველია, ნაცვლად «Пастырскій собесѣдникъ»-ისა «Стрѣкозы» ან „Живопис.» обозрѣніе“ რომ გამოიწეროს მღვდელმა, ამ გამოცემათა წაკითხვით ვერ დამოძღვრავს სამწყსოს!...

თითო სტატია ან სიტყვა-საუბარი რომ გადაეთარგმნათ ჩვენ სემინარიელ მღვდლებს დღემდის, ისიც კი კმარიეო; მაგრამ ის არის, ჩვენდა საუბედურო, სამწუხარო, რომ ამისთანა კეთილი სურვილი არა სჩანს ჩვენს სამღვდელოებაში. ზოგიერთებს თავის გასამართლებლად თავის რიგიანად დაუბინავებლობა და მოუწყობლობა მოჰყავთ. ღარიბულად ვცხოვრებთ, არ ვართ რიგიანად მოწყობილი, და შემლებაც ხელს არ გვიწყობს, რომ ჟურნალ-გაზეთები გამოვიწეროთო. მაგრამ ესეც არ არის დამაბრკოლებელი მიზეზი ჩვენი დაეუჩებისა. უმთავრესი მიზეზი ამისთანა შემთხვევაში არის ჩვენი დაუდევნელობა, ჩვენი გულგრილობა და ჩვენი გამოუცდელობა. მრავალ ნაწილს უმთავრესი ეურადღება აქვს მიქცეული გარეგან ბრწყინვალებაზე, კოხტად ჩაცმა-მორთვაზე და ჰგონიათ, რომ ამით დაიმსახურებენ ეურადღებას და პატივის-ცემას თავიანთ სამწყსოთაგან!.. დროა, ეურადღება მივაქციოთ ჩვენი მოვალეობის აღსრულებას და ვისარგებლოთ მით, რაც არსებობს... ჩვენ რომ დღეს არ ვიცოდეთ, ან არ შევიტყოთ რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნების და საუბრების არსებობა, ამით თავს ვერ გავიმართლებთ...

დეკ. დ. ღამბაშიძე.

მოვალეობანი სულიერ მწყემსთა წმ. მოციქულთა დადგენილობის მე-58 მუხლის ჩვენებით.

ხშირად გვესმის საჩივრები, განსაკუთრებით სოფლის მღვდელთაგან, რომ მათი მრევლნი ცუდი კაცები არიან; უჩივიან, რომ მათ ტაძრებში სიარული არ უყვარსთ, არიან ამაოდმორწმუნენი, და მღვდლებს პატივს არა ცემენო... ნუ თუ ყოველივე ესენი მართალია? სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში საჩივრები მოძღვართა მართლაც რომ საფუძვლიანია. მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? სად არის მიზეზი ყველა ამ სამწუხარო მოვლენათა და ხალხში ქრისტიანული ზნეობის დაცემისა? საზოგადოდ, როცა ამბობენ, რომ რომელიმე ოჯახის ბავშვები ხეირიანად არ არიან აღზრდილნი, ცუდათ იქცევიან, ცუდ ხასიათს იჩენენო, იტყვიან ხოლმე: ალბად ამ ბავშვების მშობელნი ცუდი კაცები არიან, ცუდ მაგალითებს აძლევენ თავიანთ შვილებს, არ ზრუნავენ მათ ზნეობით აღზრდაზედ, არ ცდილობენ მისცენ შვილებს შესაფერი აღზრდაო. ასეთი მსჯელობა უმეტესად მართლდება, ვინაიდგან გამოცდილებით ვიცით, რომ კარგს, მშრომელ და კეთილ მორწმუნე მშობელთ ძვირად ჰყავთ ხოლმე ცუდი შვილები. სამრევლოც იგივე ოჯახია. სამრევლოში მღვდელია მამა. ტყუილად კი არ ეძახიან მწყემს მამას; როგორც მამა, როგორც ხელმძღვანელი თავისი სამწყსოისა, თითოეული მღვდელი ვალდებულია ეცადოს, რომ მისი სამრევლო, სულიერნი მისი შვილნი იქმნენ კეთილნი, არ აქვნდეთ ცუდი ხასიათი და ჩვეულებანი. ასეთი ზრუნვა არის ზნეობითი მოვალეობა მღვდლისა, რომელსაც ავალებს ამას თვითონ სიტყვა ღვთისა, რომელიც გვასწავებს, რომ მღვდელობა იმიტომ არის დაწესებული, რათა თითოეული კაცი „მივიჩინეთ მამაკაცად სრულად, საზომად ასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 13). ამასვე ავალებს მწყემსთ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის დადგენილობანი. წმ. მოციქულთა დადგენილობის მე-58 მუხლი პირ და პირ ითხოვს, რომ მწყემსნი ასწავლიდნენ სამწყსოს კეთილ ცხოვრებას: თუ ისინი ამ საქმეში დაუდევრობას გამოიჩენენ, მაშინ მათ უნდა აღეკრძალოსთ მღვდელ-მოქმედება. ამის შემდეგაც თუ ისინი გამოიჩენენ დაუდევრობას და სიზარმაცეს, მაშინ სრულებით უნდა გადაყენებულ იქმნენ მღვდელობიდან.

ამ სახით ღვთის სიტყვაც და წმ. მოციქულთა დადგენილობაც ავალებს მწყემსთ იზრუნონ სამწყსოთა აღზრდა-განათლების საქმეზე. თუ მწყემსი კარგია, სამწყსოც მას კარგი ჰყავს. თუ მწყემსი ცუდია, სამწყსოც ცუდია. ცუდ მწყემს არც კი შეუძლია მწყემსობა, იგი უნდა განიდევნოს. თუ ჩვენ დროში სამწყსონი ზნეობითად დაცემულნი არიან, ალბად მწყემსთაც დაიქვეითეს ზნეობითად და სრულებით არ ზრუნავენ თავიანთ სამწყსოთა გაუმჯობესობაზე. როცა მწყემსნი უჩივიან სამწყსოთ, ისინი ამავე დროს თავის თავს ილანძღვენ. არა, სამწყსოთ კი არ უნდა უჩივოდეთ, არამედ სამწყსო უნდა უჩიოდეს მღვდელთ, თუ კი ეს სამწყსო ზნეობითად დაქვეითებულია და მთლად ჩაფლულია ცოდვებში“. ჩვენ გაუნათლებელნი ხალხი ვართო“, იტყვიან ხოლმე ხშირად გლეხები. და ეს, სამწუხაროდ, მართალიც არის. არა თუ მათ სხვა რაიმე ცოდნა არა აქვსთ. სარწმუნოების პირველ დაწყებით სწავლაც არ იციან. და განა გასაკვირველია, თუ ეს გაუნათლებელნი პირნი, ბნელსა შინა მჯდომარენი, ჩაიდენენ ცუდ საქმეებს? ამიტომ მიუცილებლად საჭიროა, რომ მღვდლებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ თავიანთ სამწყსოთა მდგომარეობას და იმეცადინონ, რომ აღზარდონ ისინი თანახმად ქრისტეს მცნებისა.

მაგრამ რა სახით შეგვიძლია მივაღწიოთ ამას, რა საშუალებანი უნდა ვიხმაროთ ამ შემთხვევაში?

წმ. მოციქულთა დადგენილობანი, რომელიც მღვდელ-მოქმედებას უკრძალავს მწყემსთ, რომელნიც დაუდევრობისა და თავის სიზარმაცისა გამო არ ცდილობენ თავიანთ სამწყსოთა ზნეობითად და გონებითად ამაღლებას, გვიჩვენებენ საშუალებათაც, რომელნიც მღვდელმა უნდა იხმაროს თავისი სამრევლოის ზნეობითად ამაღლებისათვის. «წინამძღვარნი ეკკლესიებისა, ამბობს მე-19 მუხლი ტულის კრებისა, ყოველ დღე, განსაკუთრებით კვირა დღეებში, უნდა ასწავლიდენ კრებულს და ხალხს ღვთის სიტყვას». ასეთი სწავლით ხალხი შეიგნებს, რა არის კეთილი და ბოროტი, ცუდს აერიდება და კარგს შეისწავლის, ამით გაისწორებს თავის თავს და მოერიდება ყოველივე ცუდ საქმეს. აი პირველი საშუალება ხალხის სასწავლებლად: უნდა განუმარტო მას საღმრთო წერილი, უნდა განუმარტო ქადაგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზგავსად. სწორეთ ასეთი სწავლება იგულისხმება წმ. მოციქულთა დადგენილობის მე-58 მუხლში.

თუ რამდენათ სასარგებლო და საჭიროა ქადაგება სამწყსოის ზნეობის ასამაღლებლად, ამაზე, ვგონებ, საჭირო არ არის ლაპარაკი. ეს ყველასათვის ადვილი გასაგებია. მართლაც რატომ არის, რომ სამწყსოის უმრავლესი ნაწილი ცუდად იქცევა, სინამდვილით არ ინახვენ ღვთის მცნებას და წმ. ეკკლესიის დადგენილობას? იმიტომ უმეტესად, რომ ან არ იციან ქრისტეს ეკკლესიის კანონები, ან არ ესმისთ, როგორ უნდა გამოიყენონ ისინი საქმეში, ან არ შეუძლიათ, თავიანთი დაუდევრობისა გამო, იცხოვრონ ისე, როგორც გვიბრძანებს უფალი. სწორეთ აქ უნდა დაეხმარონ მწყემსნი სამწყსოთ: უცოდინართ ასწავლონ, გამოუცდელნი დაარიგონ, სუსტნი დაარწმუნონ და განსაკუთრებით დაარწმუნონ, ვინაიდგან უმეტესობა ცოდავს არა იმიტომ, რომ ცოდვის ცუდი შედეგი არ იცოდეს, არამედ მიტომ, რომ არ შეუძლია ასცდეს ცოდვას და ჩაიდინოს რაიმე კეთილი. მწყემსი არ უნდა შეუშინდეს, თუ მისი მოღვაწეობა კეთილ ნაყოფს მაღლე ვერ გამოიღებს. პირიქით მან უფრო მომეტებული მუყაითობით უნდა განაგრძოს საქმე. აქ საჭიროა გავიხსენოთ ერთი შემთხვევა წმ. იოანნე ოქროპირის ცხოვრებიდან და ამ წმ. მამის სიტყვები ამ შემთხვევისა გამო. ერთხელ ამ წმ. მამამ შენიშნა, რომ მისი სამწყსოის ზოგიერთი წევრნი ნამეტნავად მიჩვეულნი იყვნენ მთვრალობას. ამ ბოროტების ამოსაფხვრელად წმ. იოანნემ მიმართა იარაღს, რომელიც ხმალზე უფრო მჭრელია, ე. ი. ქადაგებას და მასში უჩვენა ყველას, თუ რა მავნებელია მთვრალობა და მემთვრალეთ ურჩია თავი მიენებებიათ ამ დამღუპველი ჩვეულებისათვის. მაგრამ მისმა სიტყვამ ჯეროვანი ზედ მოქმედება ვერ იქონია: ყველა ისინი, რომელნიც წმ. იოანნემ ამხილა, მომავალ დღესასწაულს წავიდნენ სამიკიტნოებში. ზოგიერთმა ბოროტმა პირებმა, ეს რომ დაინახეს, დასცინეს წმ. იოანნეს და სთქვა: «სწორეთ ნამდვილად დაარწმუნა! სრულებით აღარვინ აღარ დაიარება სამიკიტნოებში. ყველანი გამოეხიზღდენ!» ეს შეატყობიეს წმ. იოანნეს, რომელმაც ერთ თავის ქადაგებაში, უჩვენა რა ეს დაცინვა, სხვათა შორის სთქვა: რას ამბობ კაცო? განა ჩვენ აღგითქვით, რომ ყველას ერთ დღეს დავიჭერდით? დღეს ვერ დავარწმუნე, მაგრამ შეიძლება, ხვალ დავარწმუნო. შეიძლება ხვალაც ვერ დავარწმუნო, მაგრამ შეიძლება ზეგ დავარწმუნო. ვინც დღეს მოისმინა და უარ ჰყო, ის, შეიძლება, ხვალ გამიგონებს და მიიღებს ჩემს დარიგებას, და ვინც დღეს და ხვალ არ გამიგონებს, ის შეიძლება რამდენიმე დღის შემდეგ მიაქცევს ყურადღებას ჩემს სიტყვებს. განა არ შეგინიშნავს, რომ მშობლები ხშირად დიდ სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, როცა თავიანთ შვილებზე სასურველ ზედგავლენას ვერ იქონიებენ ხოლმე, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან და ზოგჯერ დიდი შრომის და მეცადინეობის შემდეგ ახწევენ ხოლმე თავის მიზანს. ასე უნდა მოიქცე შენ, მქადაგებელო, შენი ძმის შესახებაც. მშობლები ხშირად ტირილით და ცრემლით ვერას აწყობენ, მაგრამ შენ კი შეგიძლია მოთმინებით და ბეჯითობით მოაქციო შენი ცოდვილი ძმა. ვთქვათ, შენი კეთილი რჩევა არ მიიღო და არ შეისმინა ვინმემ. იტირე და ხშირად ესაუბრე მას; იმწუხარე, რომ იგი შეარცხვინოს შენმა მზრუნველობამ, და მოიქცეს. აი როგორ უცქეროდა წმ. იოანნე ქადაგებითი სიტყვას. ის წმ. მამა შვენიერ მაგალითს უჩვენებს მქადაგებელთ, იგი ურჩევს მქადაგებელთ, რომ მათ არ უნდა შეაჩეროონ ქადაგება, როცა ხედვენ, რომ მათი სიტყვა შესაფერ გავლენას ვერ ახდენს მსმენელებზე, არამედ უფრო მომეტებულად უნდა იქადაგონ, სთხოვონ სამწყსოს, რომ იგი იქმნეს კეთილი. და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ გვარი მუყაითობით მწყემსი მოიტანს საგრძნობელ ნაყოფს.

რომ მწყემსმა თავისი მოვალეობა სავსებით აღასრულოს, ამისათვის მარტო ღვთის მსახურების დროს ქადაგების წარმოთქმა არ კმარა. ყოველი ეკკლესიური ღვთის-მსახურების დროსაც რომ იქადაგოს მოძღვარმა, მაინც არ კმარა. რაც უნდა კარგი იქნეს ქადაგება, რაც უნდა უბრალო და ადვილი გასაგები იქნეს ქადაგების შინაარსი, მაინც ერთად ერთი ქადაგება საკმაო არ არის, რომ სამწყსოთა შორის მწყემსმა განამტკიცოს სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა. ამ ქადაგებათა გარდა მღვდელმა უნდა გაუმართოს მრევლს ღვთის მსახურების გარეშე საუბრები, რომელნიც ფრიად სასარგებლონი და საჭირონი არიან. ბევრ დაუდევნელ და ზარმაც მწყემსთათვის სამძიმო ტვირთს შეადგენს ასეთი საუბრები და ამიტომაც ზოგი მწყემსნი ძლიერ წი-

ნაღმდეგნი არიან ამ საუბრებისა. მაგრამ ჩვენის აზრით ღვთის-მსახურების გარეშე საუბრები ძლიერ სასარგებლონი და აუცილებლად საჭირონი არიან. ღვთის-მსახურების შესრულების, დროს წარმოთქმული სიტყვები სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ მლოცველებზე, რადგან იგინი ამ დროს დაღლილნი არიან და ამიტომ ყურადღებით ვერ ისმენენ მწყემსთა სწავლა-დარიგებათა. გარდა ამისა რაც უნდა ეცადოს მწყემსი, რომ თავისი სიტყვა ყველასთვის გასაგებად შეადგინოს, მაინც მისი ქადაგება ბევრ მსმენელთათვის გაუგებარი რჩება. შეიძლება მსმენელმა მოისურვოს, რომ გაუგებარი ადგილები განუმარტოს მას მოძღვარმა, მაგრამ როგორ შეიძლება მქადაგებლის შეჩერება. შეიძლება ქადაგების წარმოთქმის შემდეგ მსმენელი წავიდეს მოძღვართან და სთხოვოს მისი ქადაგების გაუგებარი ადგილების განმარტება, მაგრამ ეს ჩვეულებათ არ არის მიღებული და ესეც რომ არ იყოს, ყველას ხომ კარგი დამოკიდებულება არა აქვს მწყემსთან. მაშასადამე გაუგებარი გაუგებრად რჩება. ზოგიერთი გაუგებარი ადგილი ქადაგებისა მნიშვნელობას უკარგავს მთელს სიტყვას და ამის გამო იგი უსარგებლო ხდება. ესეები არ მოხდება ღვთის-მსახურების გარეშე საუბრების დროს. ამ საუბრების დროს მსმენელთ ნება ეძლევათ დასხდნენ და ამიტომ უფრო ყურადღებით შეუძლიათ მოისმინონ ყოველივე სწავლა-დარიგება. რასაც ვერ გაიგებენ, ნება აქვსთ ჰკითხონ მწყემსთ. და თვითონ მღვდელსაც შეძლება ეძლევა, რომ ასეთ საუბრების დროს მომეტებული დრო მოახმაროს რომელიმე კითხვის განმარტებას, მას აქვე შეუძლია შეამოწმოს, თუ რამოდენათ გაგებით შეითვისეს მსმენელთ მოძღვრის სიტყვა. ერთი სიტყვით რა მხრითაც უნდა გასინჯოთ ღვთის-მსახურების გარეშე საუბრები, იგინი ძლიერ სასარგებლონი არიან. ამიტომ რომელი მწყემსიც არ ზრუნავს ქადაგებითი სიტყვასთან ერთად ამ საუბრების გამართვას ხალხთან, იგი გულგრილად და ზარმაცად ეკიდება თავის მოვალეობას, რისთვისაც დაიმსახურებს ღვთის სასჯელს, წმ. მოციქულთა დადგენილობის მე-58 მუხლში მოხსენებულს.

განსაკუთრებით ამ ჩვენს დროში მომეტებული ყურადღება უნდა მიექცეს ქადაგებითი სიტყვას და ღვთის-მსახურების გარეშე საუბრებს. წავიდა ის დრო, როცა ჩვენი უბრალო ხალხი თავისი სარწმუნოების განხილვაში არ შედიოდა. რაც სწამდა, სწამდა წმიდა გულით და იმას არ დასდევდა, თუ რატომ წამდა ასე თუ ისე. დღეს კი უბრალო გაუნათლებელი კაციც ცდილობს შეიტყოს თავისი სარწმუნოების და ცხოვრების უმთავრესი საფუძვლები. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეადგენს მღვდლის პირდაპირ მოვალეობას. მწყემსმა ქადაგებითი სიტყვით და ღვთის-მსახურების გარეშე საუბრებით უნდა შეასწავლოს ხალხს, მისცეს პასუხი მის სარწმუნოების კითხვების შესახებ, და ეს პასუხი დაფუძნებული უნდა იყვეს მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლაზე.

სამწყსოის გონებითად და ზნეობითად განათლების საშუალებათ ეკუთვნის აგრეთვე მგალობელთა გუნდების შედგენა სამრევლოებში, კრძალულებით ღვთის ‹სახურების შესრულება და საეკკლესიო წიგნების გაგებით კითხვა. განწყობილ გალობას, კრძალულებითი ღვთის-მსახურების შესრულება, და გაგებით საეკკლესიო წიგნების კითხვა ტაძარში იზიდავს მრავალ მლოცველთ. და რამდენათაც ხალხი ხშირად დაიარება ტაძარში, იმდენათ უფრო ივსება მათი გული ზეციური სწავლით, მით უფრო მონდომებულნი არიან იცხოვრონ ქრისტეს სწავლის თანახმად, უფრო მტკიცედ სდგებიან კეთილ ცხოვრების და ქველის მოქმედების გზაზე.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ისიც, რომ მღვდლის ცხოვრებას, განსაკუთრებით მის ოჯახურ ცხოვრებას დიდი ზედ გავლენა აქვს სამწყსოზე. ოჯახი არის პირველ დაწყებითი სკოლა, რომელსაც გადის ყოველი კაცი. ოჯახში ყმაწვილების სულსადა-გულში ითესება პირველი თესლი, რომელსაც შემდეგში მოაქვს კეთილი ნაყოფი. თუ ყმაწვილი პირველად თავის ოჯახში ხეირიანად არის აღზრდილი, რაც უნდა ცუდი გარემოები შეხვდეს შემდეგში, ის ყოველთვის ძლევს ამ გარემოებათა და უვნებლად დარჩება. «რას იტყვიან ჩემი მშობლები, როცა შეიტყობენ ჩემ ყოფა-ქცევას?» იფიქრებს თაობიდანვე რიგიანად აღზრდილი ყმაწვილი და ასეთი ფიქრი შეაკავებს მას ყოველი ცუდი საქმისაგან. პირიქით ცუდი აღზრდა, ცუდი მაგალითები, რომელთაც ყმაწვილი ხედავს თავის ოჯახში, ხრწნიან მას ზნეობითად და ამიტომ იგი შემდეგში ხდება ცუდი წევრი საზოგადოებისა და ცუდი ქრისტიანე კაცი. ამიტომ ჩვენი ოჯახის ქრისტეს სწავლის თა-

ნახმად მოწყობა პირველ საქმეს შეადგენს. ყოველმა მღვდელმა განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი სამწყსოის ოჯახებურ მხარეს და თავისი სიტყვით ⁄ მაგალითით უნდა უჩვენოს სამწყსოს, თუ როგორ უნდა იცხოვროს ოჯახში ჭეშმარიტმა ქრისტიანემ. ცოლ-ქმარ შუა უთანხმოებას და სხვა რაიმე ცუდ მხარეებს ადგილი არ უნდა ექნეს მღვდლის ოჯახში, რომელიც, თითქმის, სკოლაა მრევლისათვის; გარდა ამისა ცოლ-ქმარ შუა უთანხმოებას და განხეთქილებას ძლიერ ცუდი ზედ გავლენა აქვს მოზარდ თაობაზე, რომელიც ამის გამო მოკლებულია ხეირიან წინამძღოლობას და ამიტომ ოჯახ გარედ იძენს ცუდ ხასიათს და მაგალითებს და ასე აღზრდილი კაცი ბოლოს შეიქნება მავნებელი წევრი საზოგადოებისა და ეკკლესიისა.

ამ სახით თითოეული მწყემსი ვალდებულია ასწავლოს თავის სამწყსოს ყოველივე კარგი და სასარგებლო. ამისათვის მრავალი საშუალებანია, მაგრამ უმთავრეს მათგანს შეადგენენ: ქადაგებითი სიტყვა, ღვთის-მსახურების გარეშე საუბრები, კრძალულებით შესრულება ღვთის-მსახურებისა, და ბოლოს, მწყემსის ცხოვრება და განსაკუთრებით მისი ოჯახის ცხოვრება.

სემინარიის ცხოვრების მოგონებიდან.

(გაგრძელება).

ბ. ბუ—ძე საშინელი ახირებული მოსწავლე იყო. არასოდეს რიგიანათ ერთი გაკვეთილი არ მიუგია მასწავლებლისათვის. მაგრამ ჩვენს დროში მესამე ხარისხი მოსწავლეთა არსებობდა და ნიადაგ ამ ხარისხის წყალობით ერთი კლასიდან მეორეში გადადიოდა. კურსის გათავების დრო მოახლოვდა. ყველა ცდილობს, რომ უკან არ ჩამორჩეს სხვებს და გულს მოდგინედ კითხულობს თავის საგნებს. ეს ჩვენი ბ-ძე კი თავისუფლად დასეირნობს და ნიადაგ იღლიაში აქვს წიგნი ბოკლისა. იმ დროს ბოკლის წიგნი ძლიერ შესანიშნავი იყო და მოსწავლეები, რომელნიც გატაცებული იყვნენ სხვა წიგნების კითვით, თავის მოვალეობად რაცხდენ მოეპოებიათ იგი. ერთხელ ერთმა მასწავლებელმა ბ-ძეს კითხა გაკვეთილი.

— გაკვეთილი არ ვიცი, მიუგო ბ—ძემ, არ მეცალა.

— რას აკეთებდი? ჰკითხა მასწავლებელმა, მოსწავლეს

— ბოკლის წიგნს ვკითხულობდი და გაკვეთილის დასწავლა ვედარ მოვასწარი, მიუგო ბ—ძემ.

— იკითხე, იკითხე, მიუგო მასწავლებელმა, მაგრამ უნდა იცოდე, შე საწყალო, დაგდუშავს მაგ წიგნის კითხვა. თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ შენ მაგ წიგნს. ერთხელ გაკვეთილი არ დაგისწავლია და მაგ წიგნის აზრს როგორ გაიგებ? შენ გგონია, მე სიგელს შევადგენ შენს ამისთანა ამაუ პასუხზე, მაგრამ მოტუუებული ხარ. მე მხოლოდ მომიგონე, როდესაც ცხოვრებაში გახვალ. კაცი სამდვდელოთ ემზადები, იმ საგნებისა, რომლის ცოდნა შენს მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, არა იცი რა და ბოკლის წიგნი რას გასწავლის შენ?.. მაგ წიგნი რომ წაიკითხოს კაცმა და შეიგნოს იგი, ხეირიანად მომზადებული უნდა იყოს და შენ ეს მომზადება არა გაქვს. ბოლოს ინანებ, მაგრამ გვიან იქნება! შენ სთქვი, რომ ბოკლის წიგნს ვკითხულობდიო. აბა, რა დაისწავლე მაგ წიგნებიდან? ერთი მომიყევი და შენ ამხანაგებსაც გააგებინე.

— ყველას საიდან მოვიგონებ ეხლა, მიუგო ბ-ძემ მასწავლებელს, და რომ ავტორს შვენიერი მსჯელობა აქვს ზოგიერთ საგნებზე, ეს, ვგონებ, ყველასათვის ეჭვს გარეშეა.

— მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ბოკლს ზოგიერთ საგნებზე კარგი მსჯელობა ექნება და აბა ერთი ადგილი დაგვისახელე მაინც, უთხრა მასწავლებელმა.

— ეხლა არ მახსოვს, მიუგო ბ-ძემ მასწავლებელს.

შემდეგ ამ საუბრისა მოგვიბრუნდა ყველას მასწავლებელი და გვითხრა: „აი, ხომ ხედავთ თქვენ ამ საცოდავს, რომელიც ამბობს, ბოკლის წიგნს ვკითხულობდი და ამიტომ დრო არ მქონდა, გაკვეთილები დამესწავლაო. ხომ დარწ-

მუნდით თქვენ, რომ მაგას ტყუილა უკავია ხელში ბოკლის წიგნი და მედიდურობს მით, რომ ბოკლის წიგნს კითხულობს, თორემ ერთი ადგილი, ერთი სიტყვა ვერ გამოუტანია ამ წიგნიდან, მაგას ეგონა, რომ ბოკლი ვითომ ურწმუნო კაცია და უნდოდა შეეტყო, თუ რა აზრის არის ის ღვთის სარწმუნოებაზეო. იქნება ბევრი ეძება ამ წიგნში ეს მისი სასურველი ადგილი, მაგრამ ვერაფერი ვერა გაიგო რა და ვერც არავინ სხვა მონახავს ბოკლის წიგნში ამისთანა ურწმუნოებას.

ამისთანა საქციელი ზოგიერთი გატაცებული შაგირდისათვის, რასაკვირველია, დამდუშველია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ვერც ერთს ვერ შეგაცდენს, რადგან თითოეულს თქვენგანს კარგად შეუძლია შეიტყოს შემცდარი აზრი ბ—ძისა".

ძლიერ ვადევნებდი ბ—ძის ცხოვრებას ყურადღებას. ღმერთმა ისე შენს მტერსაც ნუ აუსრულოს, მკითხველო, აღთქმული სასჯელი, როგორც იმის თავზე აღსრულდა წინასწარმეტყველება მასწავლებლისა. ბ-ძეს, როგორც ნამეტან სუსტს მოსწავლეს, საერო სამსახურში არსად არ მიიღებდენ. მეტი საშვალება არ ჰქონდა, რომ სიმშილით არ მომკვდარიყო, მღვდლობა უნდა ეთხოვა. ითხოვა მღვდელობის ადგილი და კიდეც მისცეს ერთ მივარდნილ სამრევლოში. პირველ შემთხვევაში, როგორც ახალ ნაკურთხ მღვდელს პატივისცემით მიეგებენ და ბევრი იმედიც ჰქონდათ გლეხებს, როგორც სემინარიაში ნასწავლი კაცისა. მაგრამ მრევლი მალე დარწმუნდა, რომ მათი მოძღვარი ძლიერ სუსტი ნასწავლია და ამ სუსტ სწავლასთან, საუბედურო თავის მოვალეობის აღსრულების არა გაეგება რა. დაიწყო უკმაყოფილება მოძღვარსა და მოწაფეთა შორის და მოძღვარმა იქამდინ მიიყვანა მრევლი, რომ მან ერთბაშად ითხოვა მოშორება მღვდლისა სამრევლოდგან. სასულიერო მართებლობამ ბევრი ღონე იხმარა ბ-ძის შთაგონებისათვის, მაგრამ ყველა ამაოდ დარჩა, ცუდი ხასიათი, ცუდი მიმართულება და ცუდი ყოფა-ქცევა მოსწავლისა სწავლის დროს, ხშირათ სიბერემდის გაატანს კაცს. ასევე მოუვიდა საცოდავ ბ-ძესაც. ცხოვრებაში, რასაკვირველია, არ მოუთმენდნენ ყველა იმას, რასაც ადვილათ უთმენდნენ სემინარიაში. ჯავრმა და მწუხარებამ, სინიდისის მხილებამ და სიღარიბემ მალე მოუღეს ბოლო ბ—ძეს. ბევრს ნანობდა საცოდავი თავის დაუდევრობას და ურჩობას სწავლის დროს, მაგრამ გვიანდა იყო.

ბ—ძის მსგავსი მოსწავლეები, რასაკვირველია, დღესაც იქნებიან და ძლიერ საჭირო არის ამისთანა მოწაფეებს სულ სხვა ღონით და სხვა ზომით შთაგონებდენ მათ შეცდომას და არა იმ ღონით და საშვალებით, რომელიც დღეს შემოღებულია ყველგან.

დეკ. დ. ღამბაშიძე

უმაღლესი ბრძანება.

შესახებ დაჯილდოების წესისა იმ პირთა, რომელნიც მდგომარეობენ ერთს რომელსამე უწყებაში და ამასთანავე სარგებლობა მოაქვსთ სხვა უწყებაშიაც.

ხელმწიფე იმპერატორმა, მიაქცია რა ყურადღება იმ გაუგებრობათა, რომელნიც ხშირია იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა შეუფარონ ჯილდოთა შესახებს შუამდგომლობათა სტატია მე-69-ს სამსახ. უფლება წესდებისა, გამო. 1896 წ., 18 თებერვალს ამა წლისას, უმაღლესად ინება ბრძანებად: ა) იმ შემთხვევაში, უკეთუ რომელსამე უწყებას ნამსახურობას გაუწევს რომელიმე მოხელე, რომელიც ამ უწყებას არ ეკუთვნის და სხვა უწყებაში კია სამსახურში, პირველმა უწყებათაგანმა უნდა აუწყოს მეორეს თვისი წინასწარ-განძრახვა იმის შესახებ, რომ გამოთხოვილ იქმნეს უმაღლესი ჯილდო ხსენებულის სამსახურისათვის; ბ) რომ ამასთანავე იმ უწყებამ, რომელშიაც ხსენებული დასაჯილდოვებელი მოხელე მსახურებს, ამის თაობაზედ წარდგენილება გაგზავნოს სამოქალაქო უწყების მოხელეთა სამსახურის და ჯილდოების კამიტეტში, ისე კი რომ შესრულებულ იქმნენ არსებული ამის შესახებ კანონები, ამასთანავე ნება ეძლევა ამ უწყებას გამოითხოვოს ეს ჯილდო

მიუხედავად თითოეულის უწყებისთვის დაწესებულის «საზომისა» («норма») და გარეშე ამ საზომის და გ) რომ ასეთი წარდგენილებანი შეხამებულ იქმნენ კანონში განსაზღვრულს წლის სამესამედო ვადასთან და იგზავნებოდნენ განსაკუთრებულის სიებით.

დაენიშნათ პენსია: უწმიდესის სინოდის ბრძანებისამებრ, 8 მარტიდამ 1897 წლ. მე-1147 ნომრით, პენსია დაენიშნათ; შტატ გარეშე მყოფს მღვდელს კარდანახის მაცხოვრის-ფერისცვალების ეკკლესიისას **ზაქარია სინჯიაშვილს** 130 მ. სიღნაღის სამაზრო ხაზინიდამ; შტატს გარეშე მღვდელს გულგულის თომას ეკკლესიისას **თომა მირიანაშვილს** 130 მანეთი თელავის სამაზრო ხაზინიდამ; შტატ გარეშე მღვდელს ავრონის წმ. გიორგის ეკკლესიისას **კონსტანტინე ტოსუნოვს** 130 მან. თბილისის საგუბერნიო ხაზინიდამ. შტატს გარეშე მღვდელს ქაივანბულგასანის სამრევლოისას მიხეილ ქსენოდოხოვს-130 მან. თბილ. საგუბერნ. ხაზინიდამ მღვდლის ქვრივებს-65 მანეთი თითოს წელიწადში: შინდისის ეკკლესიის დეკანოზისას სალომე ყიფშიძეს—გორის ხაზინიდამ; ბოჭორმის ეკკლესიის მღვდლისას **თამარა ხვედაგურიძეს** თელავის ხაზინიდამ; ქვიშხეთის ფერისცვალების ეკლესიის მღვდლისას—ანასტასია კიკნაძეს გორის ხაზინიდამ; იყალთოს ფერისცვალების ეკკლესიის მღვდლისას **ნინა ნიკოლაშვილს** თელავის ხააზინიდმ, და სკრის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდლისას **მარიამ პაპელაშვილს**—გორის ხაზინიდამ.

ახალი აბები და შენიშვნები.

უწმიდესს სინოდთან არსებულს სამასწავლებლო საბჭოს ორთვიურ კურსების გახსნა განუზრახავს. კურსებზედ წაკითხულ იქმნება ლექციები აღზრდის თეორიისა, საეკკლესიო გალობისა და ორ კლასიან სკოლების მთავარ საგანთა მეთოდიკის შესახებ. ჯერ-ჯერობით საბჭოს განზრახული აქვს კურსები პეტერბურგსა, მოსკოვსა, ყაზანსა, ხარკოვსა, კიევსა, ოდესასა და ტომსკში გახსნას. ამასთან ერთად კურსების ყურის-მგდებელნი პრაქტიკულად და თეორიულად იმეცადინებენ ბაღოსნობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობის საგნებიდამ. მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის შუამდგომლობით ტფილისშიაც, თურმე, გაიხსნება ასეთივე კურსები. სასოფლო სამეურნეო საგნების პრაქტიკულადა და თეორიულად შესასწავლებლად სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო სამინისტროს უწყებაში მოსამსახურე აგრონომები—ბ ნი შავროვი და ტიმოფეევი მიუწვევიათ. ამათ უკვე სურვილიც განუცხადებიათ („ივერია“)

***

საქართველოს ექსარხოსს ტფილისის გუბერნატორისათვის გაუგზავნია დასამტკიცებლად თელავის მაზრის სოფლის საზოგადოებათა განაჩენები: კალაურისა—საზოგადო ხარჯით სკოლის სახლის აგების შესახებ შილდისა და ახალ-გავაზისა -- საეკლესიო-სამრევლო სკოლების სამეურნეო განყოფილებებით დაარსების შესახებ. („ივერია“)

***

როგორც 1896 სამოსწავლო წლის ანგარიშიდგანა სჩანს, ტფილისში სულ 105 სხვა-და-სხვა სასწავლებელი ყოფილა, მათ შორის 9,131 ვაჟი და 6,454 ქალი სწავლობდა თურმე.

***

კავკავის რკინის გზის საზოგადოებას აზრადა აქვს შავის ზღვის ნაპირას რკინის გზის ორი ახალი შტო გაიყვანოს: ერთი ახალ-ათონამდე და მეორე კი სოხუმის მახლობლად. რკინის გზის მმართველობა უკვე შესდგომია ამ საქმისათვის საჭირო გამოკვლევას.

***

წელს ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 61 მოსწავლე ქალმა, მათ შორის ქართველი ოთხია: ნინო ქიტუაშვილისამ მიიღო ოქროს მედალი და თამ. სულხანიშვილისამ—ვერცხლის მედალი.

***

ამ წელს ტფილისის I-ლ ვაჟთა გიმნაზიაში სულ 58 მოსწავლეს დაუმთავრებია სწავლა. ამათში ქართველი—13, სომეხი—12, რუსი და სხვა ეროვნებისანი—32.

***

ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ამ წელს სულ 31 მოსწავლემ დაამთავრა სწავლა. ამათში ქართველი თექვსმეტია: იასონ აფაქიძე, კონსტ. არდიშვილი, სერგი ღოღობერიძე, დავით ჯაფარიძე, პოლიკარპე იოსელიანი, ევგენი კანდელაკი, პარმენ კახიანი, არისტო კიკნაძე, ვლადიმირ ლორთქიფანიძე, ბესარიონ მიქელაძე, იასონ მოსეიშვილი, ივანე შუბლაძე, ბიქტორ ნანეიშვილი, გიორგი ფაღავა, სეით იაშვილი და ექსტერნი კიზირია.

***

ტფილისის გუბერნიის მარშლად ისევე კ. ი. მუხრან-ბატონი იქმნა აღრჩეული თავად-აზნაურობისაგან. დიდის სიხარულით მიეგება ამ არჩევას არა თუ ტფილისის გუბერნიის, არამედ ქუთაისის გუბერნიის საზოგადოებაც. ბედნიერია სწორეთ ის საზოგადოება, რომელსაც თვის შორის აღმოუჩნდება კ. ი. მუხრან-ბატონისთანა პატიოსანი, შორს გამჭვრეტი, პირამთქმელი, მოუსყიდავი, გულ-კეთილი შეძლებული, დიდ სულოვანი და დიდ ბუნოვანი მოღვაწე და ისიც საზოგადოების მოთავეთ...

***

28 მაისს ტფილისში გარდაიცვალა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ანდრია ს. გამრეკელოვი, რომელიც განაგებდა ტფილისის გუბერნიის და ზაქათლის ოლქის სახელმწიფო მამულებს.

განსვენებულს უმაღლესი სატყეო სწავლა ქონდა გათავებული და დიდი ხნის ნამსახურია..

***

30 მაისს ტფილისშივე გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქე არტემ გაბრიელის ძე იუზბაშევი, რომელმანც ანდერძით შესწირა ტფილისის სომეხთა ნერსესიან სემინარიას — აგარაკი აბასთუმანში, სახლი ფრეილინის ქუჩ., ტფილისში, და რამდენიმე ნაწილი ქარვასლისა განჯაში, სულ ღირებული 60,000 მან. ამ მამულების და სახლების შემოსავლიდგან, ანდერძის ძალით, სემინარიამ უნდა მისცეს: 2,000 მ. — წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლას. ხუთას-ხუთასი მანეთი სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას კავკასიაში, ტფილისის სომეხ-ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას და სომეხთა-გამომცემელ საზოგადოებას. 200 მან.—პოლიცმეისტერს, თავშესაფარის საჭიროებისათვის. 500 მან. — ტფილისის სომეხ-მღვდელთა საპენსიო კასსას, 200 მ.—უსინათლოთა სკოლას და 200 მან.—მამა იოანნე კრონშტატელს.

მოგვყავს აქვე განსვენებულის ანდერძიდგან ფრიად საყურადღებო ადგილი: რადგანაც ხშირად სულ უსარგებლოდ აუარებელი ფული იხარჯება ხოლმე აქაურ სომხების დასაფლავების დროს ქელეხზე, სამგლოვიარო ტანისამოსზე, წირვაზე, მღვდლებზე, მგალობლებზე, ამქრებზე და სხვა, ამიტომ ამ ანდერძის ძალით მე ვალად ვდებ ჩემს ცოლს და ანდერძის აღმასრულებელთ დამმარხონ სულ უბრალოდ, მხოლოდ ერთის მღვდლის მონაწილეობით. ვთხოვ, კუბო ხუთ მანეთზე მეტი არა ღირდეს, ამქრების მაგიერ სამგლოვიარო ეტლი დაიქირაონ და საერთოდ რაც შეიძლება მოერიდნენ მეტს ხარჯს.

***

წელს ტფილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრეს და ნება ეძლევათ ეგზამენიის დაჭერისა ტფილისისა და ქუთაისის სემინარიებში 26 მოსწავლეთ. ამათში 14 ქართველია, 6 რუსი და 6 ბერძენი.

მთელს სასწავლებელში ამ ჟამად ზემოდ დასახელებულთ გარდა ითვლება 177 მოსწავლე. მათგან კლასიდგან კლასებში გადვიდა 120 მოსწავლე. განსამეორებელი ეგზამენები დაენიშნა 40 მოწ. დარჩნენ იმავე კლასებში და მოსამზადებელ განყოფილებებში 14. დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდგან 3, ამათგან ერთი დიდ-წლოვანობისა და ორიც ცუდად სწავლისა გამო. მეოთხე კლასში სულ 26 მოსწავლე იყო.

***

თფილისის სასულიერო მართლ-მადიდებელ სემინარიაში წელს სწავლა დაუმთავრებიათ პირველი ხარისხით: იერემია კესაევს, კონსტ. ღაბარაევს, დავ. ზარაფოვს, სერგი გორგაძეს, გრ. მახარაძეს, დიომიდე შილოკაძეს, გიორგი გამზარდიას, რაჟდენ გორდულაძეს, ივ. ლუკიანოვს, ანდრია ტოლოორაიას, ვლად. ივანიცკის, ხარიტონ ჯინჭველაშვილს, ირაკლი კალანდარიშვილს, გრ. ნასრაძეს, გერასიმე ნუცუბიძეს, ალექსი სმირნოვს; მეორე ხარისხით: მიხეილ ბენაშვილს, მიხ. ნაცვალოვს, კირილე კელენჯერიძეს, ლევან ვარდიევს, სპირ. ბერდიევს, გრ. მეტრეველს, რაჟდენ კანდელაკს, გრ. თოფურიძეს ექვთიმე თოთრაძეს, ლუკა კელენჯირიძეს, ვას. ღამბაროვს. სერაფ. ხაზარაძეს, იაროდიან სისაურს,—სულ 29 კაცს. მათში ორი რუსია, 24 ქართველი, ორი ოსი და ერთი ინგილო.

***

თბილისის სააზნაურო სკოლაში წელს ყოფილა სულ 408 მოსწავლე; ამათში აზნაურია-278, სასულიერო წოდების-21, მოქალაქეთა შვილები—34, გლეხი-74 და სხვა ქვეყნელი-1. მართლ-მადიდებელი-401, სომეხთ გრ.-2, ქათოლიკე-3, მაჰმადის ალსარებისა-1. თბილისის გუბერ. და ქალაქებისა-361, ქუთაისის-44. და სხვათა-3. მომავალი წლიდამ ხსენებულ სკოლაში იხსნება მეექვსე კლასი, რომელშიაც მეხუთე კლასიდან გადადის 11 მოწაფე.

***

ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში წელს სწავლა დაასრულა 74 მოწაფემ. ამათში 31 მოწაფეს მიეცა ნება ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შესვლისა.

წელს თფილისის სასულიერო მართლ-მადიდებელ სემინარიაში სწავლა დაამთავრა 29 მოწაფემ. ამათგან სამი მოწაფე სახელმწიფო ხარჯით იგზავნებიან სასულიერო აკადემიაში. ამათ გარდა ორი მოწაფე, გორგაძე და მახარაძე კერძო სტიპენდიებით იგზავნებიან აკადემიაში. როგორც ამბობენ, ერთ ამ ორ მოწაფეთაგანს თავის ხარჯით აგზავნის აკადემიაში ამავე სემინარიის ინსპექტორი მ. გერმოგენი, რომელმაც ამას წინეთაც გაგზავნა თავის ხარჯით ერთი მოწაფე ყაზანის აკადემიაში!

***

როგორც შარშან ისე წელსაც მოვიდა ქუთაისში გამოჩენილი აკუშორი პროფესორი ბ. ბაციევიჩი, რომელიც დაბინავებულია ბ. ს. გ. თოფურიასთან. ეს პროფესორი ყოველ დღე დაიარება ბ. თოფურიას სამკურნალოში. სნეულთ დიდი შემწეობა ეძლევათ, რადგან ისეთი მცირე საფასით, როგორიც არის 50 კ., შეუძლიათ თავი გააშინჯონ ამ გამოჩენილ მკურნალს. მართლაც მრავალნი დაიარებიან ხსენებულ სამკურნალოში. ბ. ბაციევიჩი, როგორც ამბობენ, ერთ თვემდე დარჩება ქუთაისში. ეხლანდელი ხირურგი ბ. თოფორიას საავადმყოფოისა ბ. გერატი სწორეთ შესანიშნავ აპერაციებს აკეთებს. ჩვენ თვითონ ვნახეთ სპირტში შენახული სხვა და სხვა მსხმო და ხორცმეტები, რომელნიც ამ ხირურგს ამოუჭრია ავადმყოფთა მუცლიდან. სისუფთავე და ავადმყოფების მოვლა ჩვეულებრივად მშვენიერია ამ საავადმყოფოში.

***

ნამდვილი წყაროდან შევიტყვეთ, რომ უწმ. სინოდს თავის თავზე მიუღია ის ექვსი ათასი მანეთის ხარჯი, რომელიც ქუთაისის სასულიერო სემინარიას უნდა მისცემოდა იმერეთის ეპარქიის საეკკლესიო ხაზინიდგან და შემდეგ სამღვდელოებას უნდა შეევსო ხოლმე ეს ნაკლი თავის საშვალებიდან.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ უწმ. სინოდში მალე გადაწყდება ქუთაისის სემინარიისათვის ადგილის ყიდვის და შენობის აგების საქმე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საქმე არ გათავდება ჩვენი სამღვდელოების სასურველად, რადგან ამ საქმეში ბევრი ისეთი პირი ჩაერია, რომელნიც სამღვდელოების სურვილს არაფ-

რად აფასებენ და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მუდამ თვალწინ ქონასაც მავნებლად რაცხვენ...

***

როგორც ზემო ისე ქვემო იმერეთში სწორეთ შვენიერი მოსავლის პირი უჩანს ვენახებს. ზემო-იმერეთში შვენიერი მოსავალი უნდა იქნეს სიმიდისაც. პურები ყველგან კარგია. წარსული წლების მოუსავლობისა გამო დიდი უფულობაა სოფლებში.

***

ბ. თ. ჟორდანიამ, გურია სამეგრელოის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდის გულს მოდგინებით მოჰკიდა ხელი თავის მოვალეობის აღსრულებას. ხსენებულს ეპარქიაში სამ ალაგას გახსნა ორ კლასიანი მასწავლებელთა მოსამზადებელი სკოლები. იმერეთის ეპარქიაში მხოლოდ ერთია ამ გვარი სკოლა. სკოლების რიცხვს შესამჩნევად უმატია სამეგრელოის ეპარქიაში.

***

იმერეთის ეპარქიის სამასწავლებლო რჩევის ქუთაისის მაზრის განყოფილების თავმჯდომარემ დეკ. იოსებ ჭეიშვილმა თავი დაანება ხსენებულ თანამდებობას. მის ადგილზე დანიშნულ იქმნა ქუთაისის მთავარ-ანგელოსთ საკრებულო ტაძრის მღვდელი მ. ფილ. ფხაკაძე.

***

სოფლებში ყველა სამრევლო სკოლების მასწავლებელნი დიდათ უჩივიან თავიანთ სიღარიბეს. წინათ, ცოტა იყო თუ ბევრი, ეძლეოდათ მათ შემწეობა. დღეს არავითარ შემწეობას არ იღებენ და საზოგადოებაც ძლიერ გულგრილად შესცქერის ამ მასწავლებელთა არა სანუგეშო მდგომარეობას. წინათ სამრევლო სკოლების მასწავლებელთ მუყიათი სამსახურისათვის აძლევდენ მედავითნის, მთავარდიაკვნის და მღვდელობის ადგილებს; დღეს კი ამ მხრით ძლიერ მცირეთ ჯილდოვდებიან სამრევლო სკოლების მასწავლებელნი. მართალია, სამრევლო სკოლების მეთვალყურეთ კაი დიდი ჯამაგირები დაუნიშნეს, მაგრამ ეს დიდი ჯამაგირები სამრევლო სკოლების რიცხვის გამრავლებას და მათში სწავლების საქმის ხეირიანათ მოწყობას ვერაფერს დაეხმარება, თუ რამე საშუალება არ გამოინახა, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელთ რაიმე შემწეობა მიეცესთ. თუ ღმერთმა ინება და მთავრობის დაპირება სამრევლო სკოლების მასწავლებელთადმი ჯამაგირების დანიშვნის შესახებ აღსრულდა, ეს საქმე მომეტებულად ხელს შეუწყობს ამ სკოლების წარმატების საქმეს.

***

საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მიღებული და მოწონებული დეკ. სმირნოვის საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნის მესამე გამოცემა, თარგმნილი რუსულიდან დეკ. დავით ღამბაშიძის მიერ, უკვე გამოვიდა საბეჭდავიდან და უწინდელ ფასობაზე უფრო იაფად გაიყიდება.

***

როგორც შევიტყვეთ, ბ. აკაკის მიერ გამოცემულ „კრებულზე" ხელის მოწერა მიიღება ამა მომავალ სექტემბრიდან 1898 წლის სექტემბრამდე. ჟურნალი გამოიცემა თბილისში, და ჯერ-ჯერობით ამ გამოცემის რედაქციაც ამავე ქალაქში იქნება.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთ სასულიერო პირს უთარგმნია და დაბეჭდვასაც აპირებს დეკ. სმირნოვის მიერ შედგენილი საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნისას ეს წიგნი, როგორც ყველამ უწყის, უკვე გადათარგმნილი და გამოცემულია ავტორის ნებადართვით. ამისათვის საცენზურო წესდების ძალით სხვას არავის აქვს ნება ამ წიგნის თარგმნისა და ამიტომ საჭიროა ყველამ იცოდეს ეს.

***

მომავალი სასწავლო წლიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიას თავის სასახლის ეკკლესია ექნება. ამ ხარჯისათვის სემინარიის მთავრობამ უკვე მიიღო 3000 მან. უწ. სინოდისაგან.

***

როგორც შევიტყეთ, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება სასულიერო სასწა-

ვლებლების და სხვა საგანთა შესახებ მოხდება ნოემბრის თვეში.

ამ კრებაზე გადაწყდება, თუ რა ხარჯი უნდა გაიწეროს ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოებამ ქუთაისის სასულიერო სემინარიის და ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის შესანახვად. ეს სამღვდელოება, ჩვენის აზრით, უკანვე მოითხოვს იმ ფულებს, რომელიც მას შეტანილი ჰქონდა სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენობის ასაგებად.

ჩვენ მივიღეთ ქუთაისის წიგნის გამომცემელ ამხანაგობისაგან გამოცემული წიგნი—«თხზულება მამია გურიელისა სურათით“ და წინასიტყვაობით, რომელიც შედგენილია ბ. ი. მეუნარგიასგან. წიგნი შეიცავს 466 გვერდს და ღირს 1 მანეთი. გამოცემა ძლიერ სუფთად არის დაბეჭდილი.

სოფლებში ბევრ ვენახებს ველარ უწამლეს ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ, რადგან უფულობისა გამო გლეხებმა ვერ შეიძლეს შაბიამანის ყიდვა.

ყვირილის საეკკლესიო ნივთების საწყობში დღეს ყოველგვარი საეკკლესიო ნივთები მოიპოება და იაფადაც. მაგალ.: სამირონე კოლოფები, რომელნიც სხვაგან სამ მანეთად და სამ მანეთ ნახევრად იყიდებიან, აქ მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონ ორ მანეთ ნახევრად. გვირგვინები, რომელნიც სხვაგან ხუთ მანეთად ფასობენ, ამ საწყობში იყიდება სამ მანეთ ნახევრად და აგრეთვე სხვა ნივთები.

ბრძნული სიტყვა სუსტი არსების პირთაგან.

წმ. ეფრემ სირიელმა, ქალაქ ედესში წასვლის წინათ, სთხოვა ღმერთს, რომ მას მოევლინა მისთვის გზაზე ისეთი კაცი, რომელთანაც საუბარი გაემართა საღმრთო წერილის შესახებ. წმ. მამა გაუდგა გზას, როცა ქალაქს მიუახლოვდა, მას შემოხვდა ქალი, რომლის გარეგანი სახე ცხადათ ამტკიცებდა ამ ქალის ცუდ ცხოვრებას და ყოფაქცევას. წმ. ეფრემს სასიამოვნოდ არ დაურჩა ასეთ ქალთან შეხვედრა და იფიქრა, რომ ალბათ ღმერთმა არ შეისმინა მისი ვედრება. ქალი შეჩერდა და პირდაპირ დააცქერდა წმ. ეფრემს. ამისგამო წმ. მამამ ჰკითხა მას: «რა გინდა ჩემგან? რისთვის მიცქერი მე? „მე გიცქერი თქვენ, მიუგო ქალმა, იმიტომ, რომ ქალი შექმნილია კაცისაგან; შენ მე კი არ უნდა მიცქეროდე, არამედ უნდა უცქეროდე მიწას, რომლისაგან შენ შექმნილ ხარ. ქალის ამ გვარმა პასუხმა გააოცვირვა წმ. ეფრემი და მასთან დარწმუნდა იგი, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება.

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები ეკკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

„მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა შევსწირო შორაპნის სადგურის მოსამსახურე პირებს, რომელთაც რწმუნებულს ჩემდამო დაბლა საქარის სამრევლო სკოლას გამოუწერეს ამა მიმდინარე 1897 წელში საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ და გლეხს გიორგი კვინიკაძეს, რომელმაც აღნიშნულ სკოლასთან ახლად დაარსებულს მეფუტკრეობის გასაძლიერებლად შემოწირა ორი ძირი ფუტკარი.

მასწავლებელი იოსებ ნ. ბარბაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლის მ. ვლადიმერ მიქიეევისაგან:

„მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ, რომ თქვენის ჟურნალის შემწეობით გულითადი მადლობა შევსწირო აზ. პოდპორუჩიკს სიმონ გოდაბრელიძეს და მის მეუღლას მატა ერისთვის ასულს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო როხის ღვთის-მშობლის ეკკლესიას შემდეგი ნივთები: ხატი ორი ტილოებზე დახატული, ერთი მაცხოვრის და მეორე ღვთის-მშობლის თავისის რამკებით და შუშებით, ღირებულნი 89 მ. ბარძიმ-ფეშხუმი და ორი ლანგარი წმინდა ვერცხლისა, მოოქვრილნი 120 მ. ერთი რწყვილი დაფარნა ფარჩისა 5 მ. ერთი ტაკუკი ვერცხლისა.

ბლაღ. მღვდლის კონსტ. კანდელაკისაგან:

„მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის „მწყემსი“-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი ერევლის მაგიერ ლანჩხუთის იოანე ნათლის-მცემლის ‘მკლესიის სტაროსტას იოანე ნ. ციცაძეს, რომელმაც მოჭედა თავისი ხარჯით სახარება, რომელიც დაუჯდა 30 მან.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მოგვცეთ, რომ თქვენის ჟურნალის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე მათხოჯის დედათა სავანის ყველა დანებმა შორაპნის, სვირის, სიმონეთის და ჩხარის საბლალოჩინო მაზრის მღვდელთ, რომელთაც თავიანთი თანაგრძნობა აღმოუჩინეს ხსენებული სავანის დანებს ფულის შეკრების საქმეში მონასტრის ეკკლესიის აღსაშენებლად და განსაკუთრებით მღვდელთ: კირილე ღამბაშიძეს, პეტრე მიხელიძეს, მამა ჭუმბურიძეს და მიხეილ ვერულაშვილს განსაკუთრებული თანაგრძნობის და დახმარების აღმოჩენისათვის მათ სამრევლოში მოგზაურობის დროს. ამასთან მადლობას ვსწირავთ ვასილ მებუკეს, გიგო მებუკეს, რაფაელოვს, ივანე ს. გალუსტოვს, ბიჭია ჯოჯუას, ერისტო დავითის ძე ჩხიკვაძეს, რომელმაც შემოსწირა ხუთი მან., ატატო კაკაბაძისას, მაია სანაძისას, მღვდელ-მონაზონს, და კესარია ჩხიკვიშვილისას, რომელთაც შემოსწირეს 17 მ. და 20 კ.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. შეიძლება თუ არა გვირგვინის კურთხევა 14 ნოემბერს?

მიგება. ჩვენს ეკკლესიებში ეს წესი სხვა-და-სხვა ნაირათ სრულდება. ერთ ადგილას თოთხმეტ ნოემბერს გვირგვინის კურთხევა აკრძალულია, მეორე ადგილას ამ დღეს მხოლოდ მღვდელ-მთავარის ნებადართვით შეიძლება გვირგვინის კურთხევა. ხარკოვის ეპარქიაში მღვდელ-მთავარმა მისცა ნება 14 ნოემბერს, დაურწყების დღეს, მწუხრის დარეკამდისინ აკურთხონ გვირგვინი და ამიტომ ვგონებთ, რომ ეს შესაძლებელიც იყოს.

კითხვა. შეიძლება თუ არა გვირგვინის კურთხევა რამდენიმე სასძლოსა და სასიძოზე ერთად შეასრულოს მღვდელმა?

მიგება. არ შეიძლება. ეს აკრძალულია სინოდის უქაზით 3-ს ივლისიდან 1893 წელსა.

კითხვა. ვალდებულია თუ არა კონსისტორია და, სადაც კონსისტორია არ არის, ეპარქიის კანცელარია თავისუფალი ადგილი მღვდელთა და მედავითნეთა გამოაცხადოს საყოველთაო საცნობად?

მიგება. რიგი და კანონია, რომ ეპარქიაში ყველა მსურველმა იცოდეს, თუ სად არის დაცლილი ადგილი მღვდლისა და მედავითნისა...

კითხვა. თვით მწყემსთ-მთავრის ლოცვის აღვლენაზე ღვთის მსახურების დროს მიუცილებლად საჭიროა წარმოთქმა „დიდი უფალი ჩვენი“ ან «უფალი ჩვენი» და სხვ...

მიგება. დასაბუთებით არ შეიძლება თქვას კაცმა, რომ ეს სიტყვა მაინცა-და-მაინც უნდა ითქმოდეს მღვდელ-მთავარზე, ძველ კონდაკებში ასე არის დაბეჭდილი: „პირველად მოიხსენე, უფალო, მთავარ ეპისკოპოსი, ანუ ეპისკოპოსი ჩვენი (სახელი) და არ არის სიტყვა „უფალი“ ეს სიტყვა არ არის ეხლანდელი დროის კონდაკებშიაც...

კითხვა. შე-ძლება თუ არა ორჯერ იწიროს ერთი და იმავე ბარძიმ-ფეშხუმით?

მიგება. შეიძლება.

კითხვა. შეიძლება თუ არა მღვდელი გაეყაროს თავის ცოლს, თუ გაყრის მიზეზი თვითონ ცოლმა მისცა და გაყრის შემდეგ შეუძლია თუ არა მღვდელს იმღვდელ-მოქმედოს?

მიგება. თანახმად ნეოპ. კრების მერვე კანონისა მღვდელი, რომელსაც ყავს ცოლი მემრუშე, ვალდებულია გაეყაროს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში არა აქვს წირვის ნება. ცოლთან გაყრის შემდეგ კი შეუძლია დარჩეს მღვდლად სამწყსოში.

კითხვა. რამდენ გზით უნდა ითქვას: „გვირგვინოსან იქმნების მონა„ და მხევალი. ერთჯერ უნდა ითქმოდეს თუ სამ-სამჯერ?

მიგება. სიტყვები: „გვირგვინოსან იქმნების მონა ანუ მხევალი. თითოჯერ უნდა წარმოითქვას, მაგრამ სიტყვები: „უფალო ღმერთო ჩვენო დიდებითა და პატივთა გვირგვინოსან ჰყავ ესენი“ კი სამჯერ უნდა წარმოითქვას მღვდლისაგან.

რედაქციის პასუხი.

**მდ. ე. ხო—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდგან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრეგული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხუზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრებისა შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი. ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყველაფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება თფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში. ნახევარი წლით-კი 4 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: «წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად აზნაურო ქარვასლაში:)

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში: (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4 და ტფილის ამხანაგობის «შუამავალის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ყვირილაში: (ზესტაფონში): დეკანოზ დავიო ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

ლანჩხუთში: „შუამავალში». კ. თავართქილაძესთან.

საჭილაოში: «შუამავალ შიგნითავაძის. წულაძესთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე მაღაზიაში.

ახალ-სენაკში: კ. თავართქილაქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.

ონში: თ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითავიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში; ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვაშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

ახალციხეში: გრიგორ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე კურცხალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ მოწერილი ბარათები.

„კრეგულის“ რედაქტორი **აკაკი**.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 .მ
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2»
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3»

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის **მაღაზიაში**, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **სიჩხერეში**—ყარიან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალსენაკში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ ან. მატარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები **დაეთმობათ** მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიან ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

კერძო საავათმყოფო ავბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ შარდით და სიფილისით

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი

ექ. მ. ფ. კაგანი.

თვალების ავათმყოფისათვის

ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., **კონსილიუმის** ფასი 3 მ. **დღე** და **ღამე ქირა** საავათმყოფოში **სრული** ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. **ოპერაციის** ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

გამოვიდა და ისყიდება

ქუთაისში—ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში, ბ ნ **ლ**ალიძესთან, და **თ**ბილისში ბ. **ი**მედაშვილის და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში

ბართ. კილაძისა და ალ. რუხაძის გამოცემა

„ვეფხის ტყაოსნის“

შესანიშნავი ადგილები

✦ **და** რამდენიმე **ლექსნი.** ✦

ამ **წ**იგნაკში მოთავსებულია **მ**ამია **გ**ურიელისა—„**ა**დამიანი“, „**ფ**იცი“, ჩემი „**ა**ლავერდი“; **ა**კაკის—„**შ**ოთა **რ**უსთაველის **ს**ურათზე“ და **ა. ყ**აზბეგისა—„**ბ**უთნის **დ**ედა“. **წ**იგნაკში ჩართულია **ა**გრეთვე **შ**ოთას **ს**ურათი, **შ**ეიცავს 40 **გ**ვერდს **და** ღირს 5 კ.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი:

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო **ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა**: სარწმუნოების და ზნეობრივი შინაარსის წიგნები არა გვაქვს!—მოვალეობანი სულიერ მწყემსთა წმ. მოციქულთა დადგენილობის მე-58 მუხლის ჩვენებით.—სემინარიის ცხოვრების მოგონებიდან.—უმაღლესი ბრძანება.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ბრძნული სიტყვა სუსტი არსების პირთაგან. —შეწირულებანი.

ს ა ჯ ი რ ო **დ ა** **ს ა ს ა რ გ ებ ლ ო** **ცნ ო ბ ა თ ა** **ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა**: საეკვო კითხვების განმარტება.

— რედაქციის პასუხი,—განცხადებანი.

რედაქტორ-**გ**ამომ**ც**ემელი **დ**ეკ. **დ. ღ**ამბაშიძე. Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 іюня 1897 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елiевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.